ცნობის ფურცელი

№ 2072 სამშაბათი, 18 თებერვალი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2072

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., ცალკე ნომერი—8 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

მღვდელი იოსებ ილიასძე, სოფიო იოსების ასული ბერიძეები, ოლღა ილიას ასული, გიორგი ვახტანგის ძე თაყაძეები, მარიამ დიმიტრის ასული ბეჟანიშვილისა და ელიზბარ ნიკოლოზის ძე ედიშერაშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი და მესამე—დედისას, მეორე—დედამთილისას, მეოთხე—სიდედრისას, მეხუთე—დისას და მეექვსე—მამიდასი

მარიამ ედიშერის ასულის ბერიძისას.

პანაშვიდი ყოველ დღე დილის 12 ს. და საღამოს 7 საათზე. ცხედარს გამოასვენებენ 19 თებერვალს, დილის 9 საათზე მღ. იოსებ ბერიძის სახლიდან (კუკიის სასაფლაოსთან), წირვა და დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს ეკკლესიის სასაფლაოზე. (2—1)

საფაბრიკო საწყობი
ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა
გ. ი. ჰალლიზენ
რჟევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.

ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები. ტელეფონი № 679. (0—66)

ხუთშაბათს, 20 თებერვალს,
საღამოს 8 საათზე, კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის სადგომში, სამხედრო საბჭოს დარბაზში, დანიშნულია

საზოგადო კრება

რუსეთის საიმპერატორო საგეოგრაფიო საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრთა.

განსახილველი საგნები:

1) გ. ა. სტუნინის მოხსენება გედის ხეობისა და მტკვრის სათავეს შესახებ.
2) ნამდვილ წევრთა არჩევა.

კრებაზე გარეშეთაც შეუძლიათ დასწრება. შესვლა უფასოა. (ე 3—1)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
ზედგენიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,
ექიმები:

ვ. ი. ჩიჩინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.
ნ. ტ. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.
ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.
ბ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.
ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.
ლ. ი. ქამოლოვი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფ.: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.
ა. მუხაილოვი:—თვალის ავადმყოფობა—ორშ. ოთხშ. და შაბათი $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$.
დ. ა. ზედგენიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
ვ. ვ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: კვირაობით 10—12.
ა. ზ. ბარხუდოვი—დედათა სნეულებანი: ოთხშაბათობით 12— საათამდე.
ზ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.
პრ. ვ. ხობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

ბ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.)

მუდმივი ექიმი **ვ. დ. ნასარიძე.**

მასაჟის და სამკურნალო გიმნასტიკა": ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 6 ს.—8 საათ. საღამოს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კოიკები—სამ მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, №-21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში). ტელეფონი № 274 (წ.

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, 38. (წლ.

ექიმი
ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642

საზღვარ-გარედ

ინგლისი. 5 თებერვალს რადიკალ დეპუტატმა მაკნამარამ წინადება მისცა დეპუტატთა პალატას: სეფე-სიტყვის საპასუხო ადრესში მოვითხოვოთ, რომ მთავრობამ მუშების სადგომების გაუმჯობესებას მიაქციოს ყურადღებაო. მაკნამარას წინადადებაში ნათქვამია: ბევრი მუშა დიდ სატანჯველშია ჩავარდნილი იმის გამო, რომ რიგიანი სადგომი არა აქვთ; პარლამენტმა დაუყოვნებლივ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ გარემოებას; ეს ძლიერ დიდი და მნიშვნელოვანი საქმეა. მაკნამარამ ამის თაობაზე სიტყვაც წარმოსთქვა. ორატორმა გაახსენა პალატას: არჩევის დროს ბევრი კონსერვატორი და უნიონისტი დეპუტატი დაჰპირდა ამომრჩევლებს, მუშების სადგომებს დიდ ყურადღებას მივაქცევთ პარლამენტშიო. ნამდვილად კი 1 წლის სესიის დროს ხმაც არ ამოუღიათ ამ საქმეზე. ეხლანდელი სეფე-სიტყვაც არას ამბობს მუშების სადგომებზე. ეს მეტად დიდი საქმეა, ამიტომ პარლამენტმა პარტიების გაურჩევლად და თითონ მთავრობამაც ეხლანდელ სესიის დროს უსათუოდ ყურადღება უნდა მიაქციონ ამ საქმეს და საზოგადო არჩევნების დროს მიცემული პირობა შეასრულონ. პირველად ისიც საკმარისი იქნება, რომ ქალაქის თვით მმართველობას სახლების ასაშენებლად აღებული სესხი უფრო გრძელის ვადით მისცენ, უფრო სასტიკად მოსთხოვონ რკინის გზებსა და სხვა კომპანიებს ახლად შეძენილ ადგილებზე სახლები ააშენონ, ადგილობრივ თვით-მართველობას იაფი კრედიტი გაუხსნან (2-დან $2^{1}/_{2}$%-მდე), მუშების სადგომების ასაშენებლად, დაევალოს რკინის გზებს, რომ უფრო მეტი რკინის გზის სამუშე მატარებლები ამუშაონ და სხვ. დასასრულ ორატორმა დაუმატა: რაღა თქმა უნდა, მარტო ამის ასრულება არა კმარა; საჭიროა მთელი საადგილ-მამულო კანონმდებლობაც შეიცვალოს, რადგანაც უმთავრესი მიზეზი მუშების გაჭირვებისა ისაა, რომ დიდ ქალაქებში ცალიერი ადგილი მეტად ძვირადა ფასობს და ამიტომ სადგომებიც ძლიერ ძვირია.

მაკნამარას წინადადებას ოპოზიციის გარდა სამინისტროს პარტიის დეპუტატებიც მიემხრნენ. ადგილობრივ მმართველობის მინისტრმა ლონგმა გამოაცხადა: ეხლანდელ სესიის დროსვე მაგ საქმეზე კანონ-პროექტს წარვუდგენ პალატასაო. ეს კანონ-პროექტი, მართალია, რადიკალურ რეფორმას არ მოახდენს, მაგრამ ეხლანდელ კანონებს კი ცოტაოდნად მაინც გააუმჯობესებსო. მინისტრმა სთქვა: ჩემის კანონ-პროექტით მუშების იაფ სადგომების ასაგებად აღებული სესხი 80 წლის ვადით მიიცემა; მერე ამ სადგომების ასაშენებლად რიგიან ადგილების საყიდვის წესი გაადვილებული იქნება, სამუშე მატარებლებისა და განაპირა უბნებში მიმოსვლის საქმეს ეხლა სამეფო კომისია იხილავსო. მინისტრმა იცის, რომ დიდის ქალაქების თვით-მმართველობა ძლიერ ცდილობს მუშების სადგომების გაუმჯობესებას, მაგრამ ეს მეტად მძიმე საქმეა. ამიტომ ამ საქმისათვის საჭიროა რადიკალური რეფორმა, ასეთ რეფორმას კი, მინისტის აზრით, ვერც ერთი მთავრობა ვერ დასთანხმდება. ამიტომ მინისტრიც ვერ მოახდენს დიდს ცვლილებას ეხლანდელ კანონებში.

შემდეგ დაიწყო კამათი. კამათში, სხვათა შორის, გარკორტმაც მიიღო მონაწილეობა. გარკორტმა წვრიმალ რეფორმებისა და პალიატივების წინააღმდეგ ილაპარაკა, რადგან „პატარა კანონ-პროექტები დიდ საქმეების თაობაზე ხშირად მარტო საქმეს ახდენენ და ნამდვილ სასარგებლო კანონ-პროექტებს უშლიან ხელსაო."

ბოლოს მაკნამარის წინადადება პალატამ 205 ხმით 166 წინააღმდეგ უარ-ჰყო, ესე იგი, სულ 39 ხმის უმეტესობით უარ-ჰყო.—ოპოზიცია ძლიერის ტაშის ცემით მიეგება კენჭის ყრის ასეთ შედეგს.

საფრანგეთი. წარსულ პარასკევს პარიზში სოციალისტების საპარლამენტო ჯგუფმა კრება მოახდინა და ეკკლესიის სახელმწიფოსაგან განცალკევებაზე მოილაპარაკა. ლაპარაკი ჰქონდათ აგრეთვე იმაზედაც, თუ რა ტაქტიკას დაადგნენ ამ საქმეში. აღმოჩნდა, რომ სოციალისტების ჯგუფის წევრები ყველანი უკლებლივ ამ რეფორმის მომხრენი ყოფილან. მაგრამ რა საშუალებას უნდა მიჰმართონ, რომ ეს რეფორმა, რაც შეიძლება, მალე ასრულდეს? ამაზე კრებამ დაადგინა, სოციალისტების მთელ პარტიას დავეკითხოთო.

◆ 7 თებერვალს სენატი ახალ კანონ-პროექტის განხილვას შეუდგა. ამ კანონ-პროექტის ძალით სისხლის სამართლის ზოგიერთი მუხლი ქალებით ვაჭრობის შესახებ უნდა შეიცვალოს. სენატორმა ბერანჟემ წინადადება მისცა სენატს, მე-334 სტატიას შემდეგი მუხლი დაუმატოთო: „თუ ვინმე ძალით დაიჭერს ქალს გარყვნილობის სახლში, ან ძალას დაატანს პროსტიტუციით იცხოვროს, ციხეში დაპატიმრება უნდა მიესაჯოს 6 თვიდან დაწყებული 2 წლამდე და ჯარიმა გადაჰხდეს 50 ფრანკიდან 5000-მდე თუნდ ქალი სრული წლოვანიც იყოს და ძალის დამტანებლისა ვალიც ემართოს". იუსტიციის მინისტრმა ვალემ ბერანჟეს წინადადების წინააღმდეგ ილაპარაკა: კანონით უმაგისოთაც აკრძალულია ვისიმე ძალით დაჭერა, ამიტომ ახალი მუხლი სულ მეტიაო. ბერანჟე არ დაეთანხმა იუსტიციის მინისტრს და თავისის მუხლის დამტკიცება მოითხოვა. სენატმა მიიღო ბერანჟეს წინადადება.

◆ გაზეთები ძლიერა ჰკიცხავენ იუსტიციის მინისტრს ვალეს: მოვახშე ბანკირ კატოის ადვოკატობა რად უკისრიაო. ვალეს ამის თაობაზე ორ თავის მეგობრისათვის უთქვამს:

მატყუნებენ, კატოის ადვოკატად რად იყავიო. სულაც არა ვარ მოვალე ამ საქმეზე ანგარიში მივცე ვისმე, ამიტომ ხმასაც არ ამოვიღებ. მაინც ძლიერ უცნაური იქნებოდა, მეტი რომ არა ვსთქვათ, რომ ვიღაც მოგონილ პირებს (კრაუფორდებს) 20 წლის განმავლობაში ადვოკატები ჰყოლოდათ და ცოცხალ კაცებს კი ადვოკატები ვერ ეშოვნათ. ამბობენ, ვითომ მინისტრობის დროსაც ვეხმარებოდი კატოისა, მაგრამ ეს ტყუილია: რა დღესაც მინისტრად გავხდი, მაშინვე ხელი ავიღე კატოის ადვოკატობაზე; კატოის ცოლი ერთხელ კიდევ მოვიდა ჩემთან დასაკითხად, მაგრამ არაფერი დარიგება არ მივეცი და ვურჩიე სხვა ადვოკატთან წასულიყო.

იტალია. ოპოზიცია გადასახადების დაკლებას თხოულობდა, მთავრობაც დასთანხმდა; ამ საქმეზე პალატამ კომისიაც აირჩია. წარსულ კვირას ფინანსთა მინისტრი კარკანო დაწვრილებით ელაპარაკა ამ კომისიას და იტალიის ფინანსების მდგომარეობა აუხსნა. კარკანომ სთქვა: ერთის სიტყვით, ჩვენი ფინანსები ისეთ მდგომარეობაშია, რომ თამამად შეგვიძლიან გადასახადებს დავაკლოთო. ამისათვის ცალკე ფონდი უნდა დაარსდეს. პირველად ამ ფონდის თანხად 65-70 ლირას გადავდებთო. იტალიის ფინანსებს ყოველ წელს ბუნებრივად 7 მილიონი ლირა ემატება. ესეც რომ ხსენებულ ფონდს მივუმატოთ, სრულიად საკმაო ფული გვექნება, რომ დაახლოვებით ოთხის წლის განმავლობაში შევავსოთ ის ზარალი, რაც გადასახადების დაკლებისაგან მოუვა იტალიის ფინანსებს. მაგრამ, მინისტრის აზრით, 30 მილ. ლირაზე მეტი ვერ დააკლდება გადასახადებს. მთავრობამ იქნება ამას გარდა კიდევ სოფლის შენობებსაც დააკლოს გადასახადი, მაგრამ სხვას კი ვეღარას დააკლებსო.

ოსმალეთი. ალბანელ ტომთა 30 მეთაურმა დეპეშა გაუგზავნეს ხონთქარს: ევროპის ოლქებში რეფორმებს ნუ მოახდენთ, ვაი თუ ამ რეფორმის გამო ალბანელები აჯანყდნენო.

◆ „ნ. ფ. პრესე"-ს კორესპონდენტს სერბიის მეფესთან საუბარი ჰქონია მაკედონიის საქმეზე. მეფეს უთქვამს: სერბიას იმედი აქვს, დიდი სახელმწიფოები ძველ სერბიასაც არ დაივიწყებენ და იქაც რეფორმებს მოახდენენო. მაგრამ თუ ასე არ მოხდა, მაშინ რეფორმებს მნიშვნელობა დაეკარგება სერბიელებისათვის. ძველ სერბიაშიაც მაჰმადიანებსა და ქრისტიანებს თანასწორი სამოქალაქო უფლება უნდა მიენიჭოს; ადგილობრივი სერბები მმართველობასა და სასამართლოში მონაწილეობას უნდა იღებდნენ; მეთედის აკრების დროს ბოროტ-მოქმედება მოისპოს და გადასახადების წესები გაუმჯობესდესო.

ავსტრო-ჰუნგრეთი. ჰუნგრეთის პარლამენტი დღესაც სამხედრო კანონ-პროექტს არჩევს. ოპოზიცია წინანდებურად მედგარ ობსტრუქციას უწევს ამ კანონ-პროექტს. მთავრობა ვერას გამხდარა ოპოზიციასთან და ამიტომ, მეტი ჩარა არ არის, უნდა როგორმე მოურიგდეს. ოპოზიციამ იცის ესა და ამიტომ თავისას არ იშლის. ოპოზიცია თხოულობს: ჰუნგრელი ოფიცრები მარტო ჰუნგრეთში უნდა მსახურებდნენ; თუ ვინმე ამათგანი ავსტრიაში მსახურებს, ეხლავე ჰუნგრეთში უნდა დაბრუნდეს; ჰუნგრების პოლკები შიგ ჰუნგრეთში უნდა იდგნენ; ჰუნგრების პოლკებში სამსახურის ოფიციალურ ენად ჰუნგრული ენა უნდა გამოცხადდეს. პირველ ორის მოთხოვნილების ასრულება

არ გაუძნელდება მთავრობას, რადგან ამნაირი განკარგულება დიდი ხანია მოახდინა პარლამენტმა, ეგ არის დღემდე ასრულებული არაა. მესამე მოთხოვნილების ასრულებას კი ძნელად დასთანხმდება იმპერიის სამხედრო მმართველობა.

ახალი ამბავი

◆ გუშინ, 17 თებერვალს, ტფილისის ქალაქის მოურავის მოადგილეს მოუვიდა მოწერილობა გუბერნატორისა, რომელიც ატყობინებს, შეაჩეროს ქალაქის საბჭოს 10 თებერვლის გარდაწყვეტილება სახელოსნო და საპროფესიონალო სასწავლებლების გამგე კომიტეტის კანონიერ არსებობის შესახებ.

◆ ტფილისის გუბერნატორს მოუთხოვია ქალაქის მოურავის მოადგილისათვის, რა მიზეზია სახელოსნო სასწავლებლის დირექტორს ოჰანეზოვს ჯამაგირს არ აძლევთო. ამის შესახებ შეეკითხებიან სასწავლებლის კომიტეტსა, რომელსაც ასეთი განცხადება მიუცია: სახელოსნო სამეურნეო საქმეთა გამგედ სასწავლებლისავე მასწავლებელთაგან ცალკე კომიტეტია შედგენილი ა. მელიქ-ალავერდოვის თავმჯდომარეობით და ეს კომიტეტი განაგებს ყოველ ხარჯების საქმეს ამ სასწავლებელშიო. ბ-ნმა ოჰანეზოვმა სახელოსნო სასწავლებლის გამგე კომიტეტის უფლებანი უარჰყო და ამის განკარგულებას ურჩობა დაუწყო. ამის გამო კომიტეტმა ბ-ნი ოჰანეზოვი სამსახურიდან დაითხოვა და ეს ამბავი თავისს დროზე სამოსწავლო ოლქის მზრუნველსაც მოახსენაო.

ამ განმარტებაში ისიც აღნიშნულია, რომ იმ დროს განმავლობაში, რაც ბ-ნი ოჰანეზოვი სასწავლებლის მმართველად იყო, სასწავლებლის საქმეები შეფერხდა და დაქვეითდა კიდეც: ეს გარემოება შარშანწინდელმა გამოფენამ და სამოსწავლო ოლქის მზრუნველის მიერ მოხდენილმა რევიზიამაც დაამტკიცესო.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის კარასუს სადგურიდან გვატყობინებენ: 16 თებერვალს, ღამე, მულანსა და კარასუს შუა დაეჯახა ერთმანეთს ორი საქონლის მატარებელი. სრულიად დაიმსხვრა 10 ვაგონი, ძალიან დაზარალდა 42 ვაგონი. მძიმედ დაშავდა ორი კაცი: მემანქანე მანველიძე და კონდუქტორი ოლკოვი. მიზეზი შეტაკებისა დაუდევრობა ყოფილა კარასუს სადგურის მორიგე აგენტისა, რომელსაც მატარებელი გაუშვია მაშინ, როცა მეორე მხრიდან სხვა მატარებელი მოდიოდა.

◆ ლარსი (საქართველოს სამხედრო გზა): 15 თებერვალს, დილის ექვს საათზე, აქ მიწა იძრა. ქვის შენობები ძრიელ შესამჩნევად შეიძრა. უბედურება არა მომხდარა.

◆ დღეს, 18 თებერვალს, სხდომა ექნება სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს. სხვათა შორის, საბჭო განიხილავს სამკურნალო საზოგადოების მიერ გამოგზავნილს მოხსენებას სოფლად მკურნალობის საქმის მოწყობის შესახებ.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიუწერია ქალაქების საურთიერთო დამზღვევ საზოგადოებათათვის: რადგან ხშირად ზოგ „საზოგადოება“-ს იმდენი ძალა არ შესწევს, ცეცხლისაგან მოტანილი დიდი ზარალი აღადგინოს, კარგი იქნება „ქალაქის საზოგადოებები“ შეუერთდნენ იმ საერთო კავშირს, რომელიც 48 ამისთანა „საზოგადოება“-მ უკვე შეადგინა. ამ გზით გაჭირვების დროს დიდად გაიადვილებენ ზარალის აღდგენასაო. მთელს რუსეთში 91 ქალაქშია საურთიერთო დამზღვევი საზოგადოება და ამათგან, როგორც ზევითა ვსთქვით, მხოლოდ 48 საზოგადოება შესულა კავშირში.

მინისტრი იმასაც აცხადებს ცირკულიარში, რომ მომავალში ამისთანა „საზოგადოებებს“ მაშინ დაერთავ მოქმედების ნებას, თუ კავშირში მონაწილეობის სურვილს გამოაცხადებენო.

◆ 15 თებერვალს ნაძალადევში აღმოაჩინეს შემდეგი ბოროტ-მოქმედება: სუნქენის ქუჩაზე მცხოვრებ ანდრია ცქიმანაურის სახლში ჰპნახეს ბოროტ-განმზრახველთაგან მოკლულის სპარსეთის ქვეშევრდომის ტიგრან ტუმა ოღლის გვამი. გვამს მოჭრილი ჰქონდა თავი და მარჯვენა ხელი და მთლად ერთიანად სისხლში მოსვრილი ეგდო იატაკზე. როგორც გამოირკვა, ბოროტ-განმზრახველთ მოკლულის გვამი სდომებიათ ყუთში ჩაეგდოთ და იქვე, მეორე ქოხში, ამოთხრილ მიწაში ჩაეფლათ. მაგრამ, როგორც ეტყობა, ბოროტ-მოქმედთ განზრახვა ველარ შეუსრულებიათ. პოლიციას, სხვათა შორის, გამოუკითხავს მოკლულის ორის პატარა ქალისათვის, სოფიოსა (6 წ.) და ბარბარესათვის (4 წ.), რომელთაც განუცხადებიათ, რომ 13 თებერვალს დედა ჩვენი ანნა და იმისი საყვარელი ბათუმის ქალაქის მცხოვრები ჯიბრაილ ავდი-ოღლი ერთად იწვნენ; როდესაც მამა შემოვიდა, ჩხუბი მოუვიდათ და ამ დროს მოჰკლეს იგიო. 15 თებერვალსვე პოლიციელებს დაუპატიმრებიათ ანნა ტუმა-ოღლი, რომელსაც განუცხადებია, რომ მე ამ ბოროტ-მოქმედებაში არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია; ჩემთან იყო ჯიბრაილ ავდი-ოღლი, რომელთანაც, შინ დაბრუნების დროს, ჩემს ქმარს ჩხუბი მოუვიდა. ჩხუბის დროს, როცა ჯიბრაილმა დასჭრა დანით მუცელში, შემეშინდა და გავიქეცი; შემდეგ არ ვიცი, რა მოხდაო. საქმე გამომძიებელს გადაეცა. ჯიბრაელის შესაპყრობად პოლიციამ განკარგულება მოახდინა.

◆ 16 თებერვალს მეტად თავხედური ქურდობა მოხდა სასახლის ქუჩაზე. ბოროტ-განმზრახველნი წინა ღამეს სათავად-აზნაურო ქარვასლის სახურავიდან ჩასულან კასილის ხელ საქმის მაღაზიაში, რამდენიმე ნივთი შეუკრავთ და 20 მანეთი ამოუღიათ კასიდან. შემდეგ იატაკი გაუჭრიათ და ქვედა სართულში, მიასნიკოვის მაღაზიაში, ჩასულან; იქ კასიდან ამოუღიათ 50 მან. და რამდენიმე ძვირფასი ნივთიც შეუხვევიათ წასაღებად. როგორც გამოირკვა, ქურდებს შაბათ ღამე იქ გაუთევიათ და მეორე დღეს, 16 თებერვალს, საღამოს 7 საათზე შესდგომიან მიასნიკოვის მეზობლად ოქრო მჭედლის დედუკოვის მაღაზიის კედლის განგრევას. დედუკოვის მაღაზიაში ლამფა ენთო თურმე. იქვე მდგომ პოლიციელებს ყური მოუკრავთ, რომ ვიღაცა მიასნიკოვის მაღაზიიდან დედუკოვის მაღაზიის კედელს არახუნებდა. დაუძახნიათ სხვებისთვისაც, გაუღიათ მიასნიკოვის მაღაზიის კარები და იქვე დაუჭერიათ ორი ბოროტ მოქმედი. ერთი აღმოჩნდა კავკავის მოქალაქე ალექსი ზოლოტოვსკი, ხოლო მეორე—ტამბოვის გუბერნიის მცხოვრები გლეხი დიმიტრი ეროხინი. ეჭვი აქვთ, რომ ამათვე გაჰქურდეს ამას წინად დოროჟნოვისა და გურგენოვის მაღაზიები.

◆ როგორც განჯიდან გვატყობინებენ, 16 თებერვალს, იქაურს სადგურზე, ორი მატარებელი დასტაკებია ერთმანეთს. დაზარალებულა ცხრა ვაგონი; ორი ლიანდაგიდან გადმოვარდნილა.

◆ ამ დღეებში მანჯურიიდან 5 კაცი სომეხი ჩამოუყვანიათ ტფილისში „ეტაპით“. ესენი სპარსეთის ქვეშევრდომნი არიან და საკუთრივ სამუშაოდ წასულან მანჯურიაში, მაგრამ პოლიციას შეუპყრია და გამოურეკნია აქეთ, რადგან პასპორტები არა ჰქონიათ. გუშინ სპარსეთის კონსულს ჩააბარეს ეს ხუთი კაცი. ვინ იცის, რამდენი ხანია „ეტაპში“ არიან, როცა აქ, ჩვენს ქვეყანაში, ერთი ქალაქიდან მეორემდე რამდენსამე თვეს უნდებიან ხოლმე.

◆ ტფილისის მოქალაქეთა გამგეობა გადატანილ იქმნა ტფილისის საკრედიტო საზოგადოების სახლში, პუშკინის ქუჩაზე.

◆ ტფილისის საურთიერთო დამზღვევ საზოგადოების გამგეობას დაუდგენია, საზოგადო-კრებას სთხოვოთ ასი თუმნის სესხით შემწეობა აღმოუჩინოს ქალაქ პენზას საურთიერთო დამზღვევ საზოგადოებას, რომელმაც შარშან ცეცხლისაგან დიდის ზარალის გამო ვერ შესძლო თავისის თახსათ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაო.

◆ დღეისთვის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია საქმე ლუარსაბ ჩარკვიანისა, რომელსაც ყალბის ფულის მოჭრა და გასაღება ჰბრალდება.

◆ 13 თებერვალს, არხიპოვის ქუჩაზე, ნადიროვის სახლში, ივანე მჭედლიშვილის ბინაზე გაჩენილა ცეცხლი. ცეცხლი მალე შეუმჩნევია ცეცხლის მქრობელ რაზმს და მალევე ჩაუქრია. სახლი დაგირავებული ყოფილა იაკორის საზოგადოებაში 8000 მანეთად. ზარალი მცირეა.

რუსეთის ქრონიკა

◆ შინაგან საქმეთა სამინისტრო მოკლე ხანში განიხილავს ხელოსანთათვის საყურადღებო საკითხს სახელოსნო სასამართლოს დაარსების შესახებ. ეს საკითხი აღუძრავთ რუსეთის ზოგიერთ სახელოსნო გამგეობათ. იმათ უთხოვიათ დაარსდეს განსაკუთრებული სასამართლოები ყველა სახელოსნო გამგეობებთან. სასამართლო შესდგება: თავმჯდომარისა და ორის წევრისაგან, ოსტატთა ორის წარმომადგენლისა და შაგირდთა ერთის ასისტენტისაგან. სასამართლოს განსახილველი ექნება: ოსტატ-ხელოსანთა და შაგირდ-მუშათა შორის უთანხმოება, შეკვეთილ საქმის გაფუჭება, ერთ ხელოსნისაგან ოსტატისა და შაგირდის მეორესთან თავის ნებით გადასვლა და სხვა.

◆ სინოდმა დაადგინა, მიიღონ სასულიერო აკადემიაში გიმნაზიის და სხვა საერო სასწავლებლის მოწაფენი, თუ ესენი სასულიერო სემინარიაში ეგზამენს დაიჭერენ და ყველა საგნებში 4 მიიღებენ. ნიშნის 3-ის მიღება მხოლოდ ერთ საგანში შეიძლება. თუ რომელსამე მოწაფეს ძველი ენები არ უსწავლია, მას აკადემიაში შესვლისთანავე ამ ენებში არ გამოსცდიან, მაგრამ შემდეგ მოსთხოვენ ეგზამენს.

◆ ამ დღეებში გარდაიცვალა რუსის რომანისტი ახშარუმოვი.

◆ კიევის გენერალ-გუბერნატორის სავალდებულო დადგენილების ძალით, კიევის 11 მეეზოვე დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან, რადგან კეთილსაიმედო მსახურებად არ იქმნენ ცნობილნი.

◆ ირკუტსკის სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათა საგუბერნიო კომიტეტმა, თანახმად ბ. პოპოვის მოხსენებისა, თითქმის ერთხმად დაადგინა იშუამდგომლოს ირკუტსკი გუბერნიაში ერობის შემოღების შესახებ.

◆ პეტერბურგის პოლიციამ შეიპყრო ქურდი, რომელმაც ამ დღეებში მოიტაცა ბრილიანტები ისაკის ტაძრიდან. ეს ყოფილა ნოვგოროდის გუბ. მცხოვრები მღვდლის შვილი კონსტანსკი; ტაძარში ღამით ჩასულა ბუხრიდან. ბრილიანტები ყველა უპოვნეს ჯერ გაუსაღებელი.

კავკასიის მცირე-წლოვან დამნაშავეთა გამასწორებელ საზოგადოების კრება

კვირას, 16 თებერვალს, სამოსამართლო პალატის სადგომში კრება ჰქონდა ზემოხსენებულს საბჭოს. როგორც წაკითხულ ანგარიშიდან აღმოჩნდა, გამგეობის საქმეებში თვალსაჩინო ცვლილება არა მომხდარა-რა. გამგეობა, სხვათა შორის, აღნიშნავს, რომ მასწავლებლის დირექტორის თანამდებობის აღმასრულებლად დანიშვნის შემდეგ სრული დისციპლინა და საქმიანობა დამყარდა ახალშენშიო. უმთავრესად დისციპლინასა და საქმიანობას ხელი შეუწყო დირექტორის მიერ მოსწავლეთა შორის არა მოსაწყენ შრომის განაწილებამ. საანგარიშო წელს საზოგადოებას შემოსავალი ჰქონია 22,626 მან. 23 კ.; ამავე წელს გამგეობას დაუხარჯნია 20,496 მან. 99 კაპ. კრებამ დაამტკიცა ანგარიში. შემდეგ კრებამ დაამტკიცა შემოსავალ-გასავლის სავარაუდო აღრიცხვა. შემოსავალი მოსალოდნელია 22,527 მ. და ამდენივე ხარჯი. მერე წაიკითხეს გრცელი მოხსენება მცირე-წლოვან დამნაშავეთა გამასწორებელ ახალშენის მდგომარეობის შესახებ. საანგარიშო წელს ახალშენში ყოფილა სულ 56 მცირეწლოვანი დამნაშავე, ამათგან ახალშენიდან გამოსულა 10 კაცი. 8 კაცს შესრულებია 18 წელიწადი და 2 სხვა მიზეზის გამო გამოუყვანიათ მშობლებს და ნათესავებს. შემოსავალი ყოფილა: ახალშენის სადურგლოდან—1013 მან., ფეხსაცმელების სახელოსნოდან—728 მან., გაიყიდა 676 ფუთი კარტოფილი, 30 ფუთი ლობიო, 1152 ფუთი ხილი და სხვა. ამ მოხსენების გადათვალიერების შემდეგ გამგეობის მოხსენებისამებრ ავჭალის ახალშენის დირექტორად დამტკიცებულ იქნა ბ-ნი მაღალაშვილი. დასასრულ კრებამ აირჩია გამგეობის წევრებად: ი. კ. სავიცკი, ლ. ი. მღებროვი, ნ. პ. სმიტენი და ა. ს. ფრენკელი; იმათ კანდიდატებად: პრუსმანი, შუტენკო და ტორჩინსკი; სარევიზიო კომისიის წევრებად: მ. მ. შარიკინი, ლ. ი. შვეცოვი და გ. დ. კოლჩევსკი.

კახეთის მევენახეთა საზოგადოების კრება.

კრება დაიწყო 13 თებერვალს. თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა თ. ნ. ჩოლოყაშვილი. პირველად კრებამ ფეხზედ ადგომით პატივი სცა საზოგადოების ახლად გარდაცვალებულს წევრს თავ. ბიძინა ჩოლოყაშვილს. შემდეგ შეუდგნენ ანგარიშის განხილვას.

ანგარიშის გარდა კრებას მოხსენდა ზედამხედველის კომისიის ანგარიში. ამ კომისიას ორჯელ მოუხდენია რევიზია. მოულოდნელი რევიზია, სწერს კომისია, და აღმოჩნდა თვლად ფული 15 ათასი მან., სათადარიგო თანხა 8 ათასი მან. ეს ფული უნდა ინახებოდეს სახელმწიფო ქაღალდებით, იგი მოგროვებულია შესატანად სხვა-და-სხვა დაწესებულებაში. შემდეგ ჩამოთვლილია ვალი საზოგადოებისა და გამოთქმულია სიამოვნება, რომ ვალი თან-და-თან ცოტავდება. მერე მიქცეულია ყურადღება ამხანაგთაგან მეტის ფულის გატანაზედ და გამოთქმულია გაფრთხილება, რომ ამ ნაირად მეტის ფულის გაცემა ამხანაგობისათვის სახიფათოა. ღვინოა შემოწმებული და ნაჩვენებია ღვინის რაოდენობა. განყოფილებებზედ კომისია იმ აზრისაა, რომ მოსკოვის განყოფილება ამას იქით მოგებას მოსცემს.

მეორე რევიზიის დადგენილება ამოწმებს საზოგადოების წლიურ ანგარიშს წიგნებთან და ადარებს მათს თანხმობას.

ესევე კომისია შენიშნავს, რომ დამტვრეულ ბოთლის რაოდენობა დიდია და ეს გარემოება უყურადღებობის ბრალიაო. კომისიის წევრის ყველა შენიშვნას პასუხი გასცა გამგეობის თავმჯდომარემ.

შემდეგ თავმჯდომარემ სთხოვა მსურველთ, თავიანთი აზრი გამოსთქვან.

თავ. ი. ჯორჯაძემ ყურადღება მიაქცია ავეჯის აღნიშვნას ანგარიშში და სთქვა, ვერ არის კარგად აღნიშნულიო. ამას გარდა ნისიას ძალიან აჩქარებით უნდა აძლევდეთ, რომ საზოგადოებას არ ეკარგებოდეს 900 თუმნობითო. (გაუსწორებ—100 თუმნობითაო).

გამგეობის თავმჯდომარე: ამბობენ, ნისია არჩევით მიეცით, ჩვენ კარგი ვაჭრობა გვაქვს და ახლა არჩევა შეუძლებელიაო. ის კი ავიწყდებათ, კარგი ვაჭრობა იმიტომა გვაქვს, რომ ნისიად ვაძლევთ. რაც შეეხება იმას, რომ ფოსტისა და კანცელარიის ხარჯი ბევრიაო, საჭიროა წიგნებში გაისინჯოს ეს ხარჯი და ისე ითქვას. მეტი არა არის-რა.

თავ. ი. ჯორჯაძე. ბაქოში ზარალია, სჯობია დავკეტოთ, რად გვინდა განყოფილება, თუ კი მუდამ გვაზარალებს. ჩვენ არც ერთ წელიწადს მოგება არ გვინახავს.

გამ. თავმჯდომარე: ჩვენ ბაქოში 85 კ. მეტს ვანგარიშობთ ვედროზე, ე. ი. მოგებას ტფილისშივე ვიღებთ. თუ ამ მოგებას გამოვაკლებთ, ბაქოში ზარალი აღარ იქმნება. მეც იმ აზრისა ვარ, რომ მეტი არ უნდა ვუანგარიშოთ ბაქოს. ახლა გადავწყვიტეთ, ბაქოს ისე ვუანგარიშოთ, როგორც ჯდება ღვინო ბაქომდის.

ანტონ ყაზახაშვილი დაუბრუნდა ისევ იმ რიცხვს და სთქვა, რომ თუ მივუმატეთ გადასატანი ქირა, ცოტა გამოვა. დაარწმუნეს, რომ უფრო მეტი გამოვა.

რევაზ ყარალაშვილი: ბაქოში საქმის დაქვეითების მიზეზი იქმნება ის იყოს, რომ დაბალ ღვინოს ჰგზავნიან. სასურველია, რომ მეტი ყურადღება მიექცეს კუპაჟს.

თავ. ნიკ. აბაშიძე: ანგარიშით ნაჩვენებია საშუალო რიცხვი ვედროს ფასისა 3 მ. 88 კაპ. ამას ვერ ვეთანხმები, რადგან თუ მივიღებთ მხედველობაში სულ იაფ-ფასებს, საშუალო რიცხვი გამოვა, 26—27 კაპ. რაც ვედრო ოთხ-მანეთს 16 კ. შეადგენს. თუნდა მივიღოთ სახეში გამ. თავმჯდომარის ნათქვამი, რომ გაიყიდულია 600 ათასი ბოთლი, ამისი ერთი-მესამედი 200 ათასი რომ ჩავთვალოთ მეტ ფასიანად, ესეც საშუალო რიცხვს მოგვცემს $27^{1}/_{2}$ კაპ., თუ ჩავთვლით $^{2}/_{3}$, ე. ი. 400 ათასს ბოთლს თუნდა $24^{1}/_{4}$ კ., როგორც ნაჩვენებია ანგარიშში, მაინც საშუალო რიცხვი გამოვა $25^{1}/_{3}$ კ., რაც ვედროზე 4 მ. $5^{1}/_{3}$ კ. დაიჭერს. 600 ათასი ბოთლი 37,500 ვედროა, გარჩევას შეადგენს 9811 მან. საქმის კარგად მართვით კი შეიძლება ბევრი რამ ავიცილოთ თავიდან—აი თუნდა ის, რომ გამგეობას არ მოუხდება დაბალ ღვინოების სყიდვა, როგორც მოუხდა ერთ წელიწადს. ყველა ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა, რომ გამგეობა სინამდვილით ჰყოფდეს ღვინოს ხარისხებად, რომ გამგეობას დანამდვილებით ჰქონდეს ცნობები წევრთა ღვინის რაოდენობისა. უკანასკნელ შემთხვევაში, თუ გამგეობას ეცოდინება, რომ ღვინო არ ეყოფა, თავის დროზე შეიძენს საუკეთესო ღვინოს. თუ გვეტყვიან, ფული არა გვაქვსო, ღვინის ნისიად სყიდვა შესაძლებელია, ან კიდევ ღვინის შეძენა შეიძლება პატრონთა წევრებად მიღებით. ყველა ეს კი საშუალო გასავლის ფასს აწევს, ამით შემოსავალი საზოგადოებისა იმატებს. გამგეობა კი არა თუ წევრების მიღებას არა სცდილობს, როგორც დავალებულია საზოგადო კრებისაგან, არამედ ამ საქმეში შეუფერებლად იქცევა. ხუთს გლეხს დაუბეჭდა ღვინო წევრებად მიგიღებთო და მერე უარი გამოუცხადა.

გამ. თავმჯდომარე. თუ რად ისყიდება ვედრო ღვინო 3 მ. 88 კ. უნდა მოგახსენოთ, რომ

ფასის დამდები მაზანდაა. მე მინდა, ვედრო საშუალოდ 10 მან. იყიდებოდეს, მაგრამ განა ჩემი სურვილი საკმარისია? საფრანგეთში ღვინო ვედრო 40 კ. ჩამოვიდა, როცა მაზანდა თხოულობდა. რაც შეეხება იმას, რომ ჩვენ მსურველთ ვითომ წევრებათ არ ვიღებთ და თანაც უწყენებენ გურჯაანელებზედ, აი ეს საქმე როგორ იყო. თელავში ამას წინად ვნახე სამი კაცი, რომელთაც სთქვეს, წევრებად შემოსვლა გვინდაო. განცხადება გაქვთ-მეთქი? გავგზავნეთო, მომიგეს. როცა ტფილისში დავბრუნდი, არ დამხვდა არავითარი განცხადება და მოვწერე, წევრებად არა ხართ მიღებული მეთქი.

თავ. ნ. აბაშიძე. განცხადება მისცეს, მაგრამ საჭირო იყო და დაიკარგაო.

თავ. ი. ჯორჯაძე. მე საზოგადოებისა და მისგან არჩეულ გამგის შეურაცხებად მიმაჩნია თავ. აბაშიძის მიერ ნათქვამი სიტყვები, გამგისა, რომელსაც ანდობს საზოგადოება ამისთანა დიდ საქმეს. ამიტომ ვთხოულობ თავ. აბაშიძემ უკან წაიღოს თავისი სიტყვები.

თავმჯდომარის წინადადებით შემდეგ თავ. აბაშიძემ ბოდიში მოიხადა. ამას მოჰყვა ერთხმობრივი დამტკიცება ანგარიშისა.

შემდეგ კრებას მოახსენა გამგემ ახალი წესრიგი დაფასებისა. დაიწყო ახალ წეს-რიგის თვითო მუხლით გარჩევა. ცოტაოდენ კამათის შემდეგ მიიღეს პირველი მუხლი. წაიკითხეს მეორე მუხლი. იგი შეეხება კახეთის ოთხ-რაიონად გაყოფას და ქვევრების დაბეჭვდას ჭაშნიკის ამოღების შემდეგ. ლაპარაკი აღიძრა იმის შესახებ, ქვევრს რომ ღვინო გაუვიდეს, ვინ უნდა ზღოს. ზოგმა სთქვა, შუაზე გაუყოთ ზარალიო, ზოგმა—მთლად საზოგადოებამ ზღოსო, ზოგმა-კი—ერთმანეთში დავიდება გვქონდეს, რომ მოვიყვანოთ მეზობელი, იმის თანდასწრებით ახსადოს ქვევრი და ისევ დაიხუროს და დაიბეჭდოსო. ბოლოს კრებამ გადასწყვიტა, ზარალი საზოგადოებამა ზღოსო.

მესამე მუხლი შეეხება დაფასების რაოდენობას, რომელიც ემორჩილება მაზანდას. ჯერ უნდა დაფასდეს სიღნაღის მაზრაში მაზანდის გვარად და შემდეგ რაიონებში უნდა იხელმძღვანელონ იმავე მაზანდით.

თავ. ი. ჯორჯაძე. ჩვენი საზოგადოება უნდა სცდილობდეს, რომ ფასი ასწიოს ღვინისა. ჩვენ სხვის მაზანდას კი არ უნდა ვუყუროთ, არამედ ჩვენ უნდა დავდოთ მაზანდა. ჩვენ თუ ვუყუროთ სხვის მაზანდას, ისევ სირაჯების ხელში ჩავცვივდებით. საზოგადოებას აზრადა აქვს ბაზარი უშოვნოს ჩვენს ერთად-ერთს ნაწარმოებს. ამიტომ უნდა ვეცადნეთ ღვინის ფასი ავსწიოთ.

ბ. ვერმიშევი იმ აზრისაა, რომ საზოგადოების დამფასებლებმა სრულიად არ უნდა მიიღონ მხედველობაში შემოდგომის მაზანდა. ამ დროს სირაჯები მეტად აიაფებენ ღვინოს. ჩვენ იმათ არ უნდა მივხედოთ. ისინი მევენახის გაჭირვებით სარგებლობენ; საზოგადოებას არ შეჰშვენის ამისთანა საფუძველზე დაამყაროს თვისი დაფასება.

თავ. ა. მაყაშვილი. როგორ შეიძლება ზურგი აუქციოთ მაზანდას? მაზანდა უეჭველად მხედველობაში უნდა ჰქონდეთ დამფასებლებს.

გამგე დაეთანხმა თავ. მაყაშვილს, თან სთქვა, რომ ყოველ საშუალებას ვიხმართ, მეტად დაფასდეს ღვინოო; ჯერ ჩვენ არა ვართ ბატონები ბაზრისა, ჯერ საჭიროა მაზანდას შევყუროთ, თან ვეცადნეთ, რაც შეიძლება, მოვუმატოთ ფასი. მართალია ცოტა რამ გავლენა გვაქვს მაზანდაზე, მაგრამ მეტად ცოტა. ამიტომ ან უნდა ფულად დავაფასოთ შეფერებით მაზანდისა პირველადვე ან ისე, როგორც ბ-ნმა გ. გდურჯიძემ მოგვახსენა, ე. ი. ნიშნებით და მერე დავაფასოთ ფულად.

უმრავლესობამ მიიღო დაფასება ფულად მაზანდის მიხედვით. კამათი გამართა იმ მუხლის გამო, რომლითაც თუ წევრი საზოგადოებისა მოითხოვს მეორედ დაფასებას და ეს დაფასება ისევ წინანდელ ფასს დადებს, ხარჯი წევრს დაეკისრება. ზოგმა მოითხოვა, რომ თუ გამგეობა მოისურვებს მეორედ დაფასებას და ისევ ისე დააფასეს, ხარჯი თვით გამგეობამ გადაიხადოსო, მაგრამ კრებამ ერთხმად მიიღო აღნიშნული მუხლი და ვადად დაუდო ორი კვირა ფასის გამოცხადების შემდეგ.

უსამართლოდ დაფასებად ის ჩაითვლება, როდესაც მეორე დაფასებით დადებული რაოდენობა 10%-ით გაარჩევა პირველისაგან. გამგეობა უკლებს ფასს, როცა საზოგადოების ბეჭედი გატეხილი აღმოჩნდება, როცა ღვინო აღმოჩნდება ძალიან გაფუჭებული, როცა დაბალი მეტი აღმოჩნდება, ვიდრე წინათ, განაცხადა წევრმა, როცა მეტ ღვინოს დაიჭერს წევრი სახლში სასმარად, ვიდრე გამოცხადებული ჰქონდა. ეს მუხლი შეუცვლელად მიიღო კრებამ. მიიღო აგრეთვე ის მუხლი, რომ ღვინოს თებერვლის პირველს იქით წადებულს 3% 5% 10% მიემატება, თუ ღვინო ჭაჭაზედ ამოიღო, გამგეობა ფასს აკლებს 5%-ად ამ 10%-მდე.

კამათი გამოიწვია იმ მუხლმა, რომლითაც თუ გამგეობა დაავალებს წევრს ღვინის არა ჩვეულებრივ დაყენებას და ასე დაყენებული ღვინო არ გამოდგა, იმ ფასსა სდებს, რაც ჩვეულებრივ დაყენებული ეღირებოდა.

თავ. იორ. ჯორჯაძე არ დაეთანხმა გამგეობის იმ მოთხოვნილებას, რომ ღვინო არა ჩვეულებრივ იქმნას დაყენებული. კახური ღვინო რამდენი წელიწადია ერთ წესზედ დგება. ამ სახით ღვინომ მოიპოვა ბაზარი, ახლა უნდათ ღვინის ტიპი შესცვალონ. რისთვის? ახლაც კარგად ისყიდება, ამიტომ ისევ ისე ვაყენოთ. მე წინააღმდეგი ვარ სხვა ნაირად ღვინის დაყენებისა. ჩვენი ღვინო უნდა დარჩეს იმ კახურ ღვინოდ, რომელიც არის დღეს. ჩვენ ვერ დავაყენებთ ისე, როგორც აყენებენ ევროპაში. ჩვენ ამისი შეძლება არა გვაქვს. ვთხოულობ, ეს მუხლი მოისპოს.

ვერმიშევი. არ ვეთანხმები თავ. ჯორჯაძეს. შემცდარი აზრია, ვითომ ღვინის ტიპი იცვლებაო. გამგეობას უნდა ჩვენი ღვინო შეუფეროს უცხოელის გემოვნებას. საუდელისწულო მამულების გამგეობა ტფილისში ვერ გვიწევს კონკურენციას, მაგრამ რუსეთში-კი მეტად გვჩაგრავს.

გამგემ აუხსნა კრებას, რომ აუცილებლად საჭიროა შევუფეროთ ჩვენის ღვინის გემო უცხო მომხმარებლის გემოს. თავისი აზრი ისე დაასაბუთა, რომ კრებამ ერთ ხმად მიიღო ეს მუხლი.

კრება გადაიდო მეორე დღისათვის.

ნადიკვრელი

წერილი საჩხერიდან

წარსული წელიწადი.—სკოლები.—წიგნთ-საცავ-სამკითხველო და საამხანაგო მაღაზია

წარსული წელი საჩხერის კუთხისთვის წყევით მოსახსენებელი შეიქმნა, რადგან ბევრი უბედურება შეგვამთხვია. მოუსავლობა, ძარცვა-გლეჯა, ქურდობა, კაცის კვლა, ცეცხლის წაკიდება, სხვადასხვა ავადმყოფობა დაგვატეხა თავს ამ წელიწადმა. ისედაც ქონებრივად დაქვეითებული გლეხი ამდენის უბედურებით ლამისაა წელში გაწყდეს. დამოუკიდებელი ცხოვრება რომ ჰქონდეს, კიდევ გაუძლებდა როგორმე გაჭირვებას, მაგრამ ამ კუთხეში ჯერ ისევ თითქმის ბატონ-ყმობა სუფევს. სხვისი ბრძანების ამასრულებელმა კაცმა თავის გონებრივ და ქონებრივს გაუმჯობესებაზე როგორ უნდა იფიქროს, ან როდის, წელიწადზე ფეხს იდგამს, მაგრამ თვითონ არაფერი რჩება და თავის ოფლით კი სხვებს ამდიდრებს.

სკოლებით, როგორც ყველა სხვა კუთხე, ჩვენი დაბაც ღარიბია,—არსებობს რამდენიმე სკოლა, მაგრამ ვერც ერთი ვერ არის მოწყობილი და ხეირიანად ვერ ასრულებს დანიშნულებას. ერთადერთი წიგნთ-საცავ-სამკითხველოა საჩხერეში და ისიც ძლიერ ღარიბი და მოუწყობელია: ქართულ სახალხო წიგნებს თვალითაც ვერ ჰნახავთ, სამაგიეროდ ბევრია „ნივისა“ და „სტრეკოზის“ ძველი ნომრები. წევრი ცოტა ჰყავს და ვინც არიან, ისინიც საწევრო ფულს იშვიათად იხდიან. ამ წიგნთ-საცავში შარშან 15 იანვრიდან საჩხერის ამხანაგობამ დაიწყო საკანცელარიო ნივთებით ვაჭრობა; მოგებიდან 20% სამკითხველოს უნდა მოხმარდეს, მაგრამ საქმე ისაა, ამ ნივთების ვაჭრობით მოიგებს ამხანაგობა რამეს თუ არა. ერთი წელიწადია ვაჭრობენ სამკითხველოში, მაგრამ მმართველნი ანგარიშს არ აცხადებენ და საზოგადო კრებას არ იწვევენ. წიგნთ-საცავის მმართველნი (ისინივე არიან ამხანაგობის მმართველებად) საზოგადოდ ძლიერ უფრთხიან როგორც წიგნთ-საცავის, ისე ამხანაგობის ანგარიშის გამოცხადება და საქმეების სიავეს თუ სიკარგეს თავიანთ კაბინეტებში ატარებენ; წევრებმაც არ იციან საქმის გარემოება, თორემ გარეშეს როგორ გააგებინებენ.

საჟულიელი

დაბა-სოფლები

სამტრედია (იმერეთი). ჩვენ სოფელში ამ ბოლოს დროს ძალიან გახშირდა ძარცვა-გლეჯა. მართალია, წინადაც იყო ქურდობა, მაგრამ დრო გამოშვებით, წელს კი ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. ერთი კვირა არ გაივლის ისე, რომ ამ სოფლის რამდენიმე გლეხი არ მიდიოდეს თვალ-ცრემლიანი ბოქაულთან საჩივლელად სხვადასხვა რამების მოპარვისათვის. ამას წინად, სხვათა შორის, სამტრედიისკენ გამავალი რადაც საქმისთვის საჯაჯახოში მცხოვრებს გლეხს მ. თ—ძეს, რომელიც კარგად შეძლებული ყოფილა; გზაში შეჰხვედრია ადგილობრივი მცხოვრები პ. რ—შვილი, რომელსაც მთვრალი კაცი რაღაც საეჭვო კაცად უცნია, წაუვლია ხელი, წაუქცევია და უცემია. შემდეგ წაუყვანია სამიკიტნო დუქანში და აქ იმასა და ხევის-თავად ყოფილს გ—ძეს გამოურკვიათ ვეღარი დუქნიდან და წაურთმევიათ თ—ძისთვის 6 მანეთი. ბოქაულმა გამოიძია ეს საქმე და დამნაშავენი დაიპატიმრა, მერმეთ ოქმი შეუდგინა ორივე ბრალდებულს და გაგზავნა დანიშნულებისამებრ. ქათმებისა და ბატების ქურდობა თითქმის ყოველ დღე ხდება ჩვენში.

ს. გ—შვილი

ს. ეწერი (იმერეთი). ჩვენსკენ ძლიერ ცუდი ზამთარია. აგერ თითქმის თებერვალი იდგა და მზიანი დღე თითქმის არ გვინახავს. მუდამ თოვლჭყაში და განუწყვეტელი ქარ-წვიმა გულს გვიკლავს. კარგა ხანია, რაც ამისთანა არეულ ზამთარს არ მოვსწრებივართ. ერთ დღეს რომ ქარი და წვიმაა, მეორე დღეს სთოვს და ხშირად ქუხილიც-კი ისმის. ყველა ძლიერ შეშინებულია და გაკვირვებული ამგვარ მოვლენით. ამ წვიმით ხევები და მდინარეები ადიდდა. პატარა ღელეები ისე ადიდებულია, რომ დიდი მდინარეები ეგონება კაცს. წისქვილები გაუქმებულია და მცხოვრებთ უმრავლესობა შიმშილს ითმენს, რადგან საფქვავი ვერ დაუფქვავს. გზებში მუხლამდე წყალი სდგას და გავლა გასაჭირია. ყველა გაიძახის: „ჩვენი კუთხე ისედაც არ იყო ნაქები კარგის ჰავით და ეს წვიმები და წყლობა უარეს გვიქადის და არც მოსავალი გვექნება კარგიო.“ ჩვენი გზები არც აქამდე იყო კარგ მდგომარეობაში, მაგრამ დღემდე, როგორც იყო, ფეხით გავივლიდით, დღეს-კი ზოგან ცურვაა საჭირო ადიდებულ ღელეებსა და თხრილებიდან გადმოსულ წყლის გამო. სკოლებში სწავლა ხან სულ არ არის და თუ არის, მესამედი ბავშვებისა ძლივს მოდის. უწისქვილობა, უგზოობა, ცუდი ამინდები, დიდი წყლები, შიმშილი და სანოვაგის სიძვირე—ყველა ეს ხალხს სასოწარკვეთილებაში აგდებს.

ჩვენ საზოგადოებაში რამდენიმე ეტლიც მოიპოვება, რომლებიც სოფლიდან სოფლად და ბაქანზე დადიან. უმეტესი რიცხვი ეტლებისა დადიჯახიშიდან ჩამოდის. ზოგიერთ ეტლში ისეთი გამხდარი ცხენები აბია და თვით ეტლიც ისეთი დაზიანებულია, რომ არა თუ ჩვენ სოფლის „სანაქებო“ გზებზე, მოკეწყოდ გზებზედაც ძლიერ საშიშარია შიგ ჯდომა და გავლა. პირჯვარს უნდა იწერდე და ღმერთს ევედრებოდე, დანიშნულ ადგილამდის მშვიდობით მიაღწიო. ამას წინად ეწერიდან ერთ მეეტლეს ღამის ათ საათზე მგზავრი მიჰყავდა. ადგილობრივ სკოლის მახლობლად ბოგირი უნდა გაევლო. სიბნელისა და უფარობის გამო მეეტლემ ვერ შეამჩნია და ბოგირის ნაპირზე გაიყვანა ეტლი. ეტლის ბორბალი გადასცილდა ბოგირს, ეტლი ყირამალა წყლით სავსე თხრილში გადავარდა და მგზავრებიც შიგ გადაჰყარა. კარგი კიდევ უბედურება არა მომხდარა-რა. მეეტლემ ცხენები ძლივს გადაარჩინა; ეტლი მეორე დღეს ძლივს გაჭირვებით ამოათრიეს თხრილიდან. ამ გვარი შემთხვევა ერთი და ორი არა ხდება. საჭიროა მეეტლეებმა ანთებული ფარნები იქონიონ ღამე მგზავრობის დროს, თორემ უფრო მეტს ხიფათს შეემთხვევიან.

დესპინეშვილი

აბაშა (სამეგრელო). ჩვენი დაბა თან-და-თან უკან მიდის. წიგნთ-საცავი გვქონდა და დაიხურა; არსებობდა სამრეხო კასსა, მაგრამ იმანაც თქვენი ჭირი წაიღო. ასე ემართება ყველა კარგ საქმეს. აბაშელების საბედნიეროდ და სასახელოდ, წიგნთ-საცავის ნაცვლად ბილიარდი გაიჩინეს. ბილიარდს შესტრფიან აბაშელები და აღარ შორდებიან. უმაწვილებიც კი სიხარულით დაიარებიან ამ გასართობში.

საფიქრებელი და გასაკვირველი აბაშაში ბევრია, მაგრამ თავს არავინ იტკივებს. წარმოიდგინეთ, აქაურ ქუჩებში სიარული სრულიად შეუძლებელია. თუ საჭიროებამ მოითხოვა და აქაურ გზებზე სიარული მოგიხდათ, აუცილებლად საჭიროა თავი დაიზღვიოთ, თორემ, ვინ იცის, რა შეგემთხვევათ. ურიგო არ იქმნება, ვინმე მადლიანმა ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას; გვგონებ, რომ ეს საგანი ღირსია ყურადღებისა!..

ჯიხაიშელი

ხონი (იმერეთი). ეგრედ წოდებულმა მუნჯურმა მეთოდმა ხონის ფოსტაშიაც ამოჰყო თავი. ნეტა ვიცოდეთ, ვისთვის, ან რისთვის არის საჭირო, რომ ხონის ფოსტაში მოსამსახურე მოხელეებმა არც ერთმა ქართული არ იცოდეს. ჩვენის აზრით, ჯერ კიდევ შორს არის ის დრო, როცა ხონის მიდამოს მცხოვრებთ უთარჯიმნოდ შეეძლებათ ლაპარაკი არა მშობლიურ ენაზე.

ამ ათიოდე წლის წინად ჩვენს ფოსტაში ქართულის მცოდნე მოხელენი მსახურებდნენ. აქ სამი მოხელეა, უფროსი, იმისი თანაშემწე და ფოსტალიონი; არის კიდევ დეპეშის დამტარებელი ბიჭი, რომელიც სათვალავში არ არის მისაღები. ვიმეორებ, ყველა ესენი ადრე ქართულის მცოდნენი იყვნენ. მაგრამ, აგერ ათი წელიწადი იქნება თითქმის, რაც ხონში გამოჰგზავნეს ფოსტის უფროსად უ—ვი, რომლის მოსვლის შემდეგ, რადაც მანქანებით, ისე მოხდა, რომ არც ერთმა მოხელემ ქართული არ იცის. ერთის სიტყვით, ქართულის მცოდნენი გაჰქრნენ. მიკვირს, როგორ დარჩა დეპეშის დამტარებელი ბიჭი ქართულის მცოდნე! ალბად შეუძლებელი შეიქმნა, თორემ ამასაც გამოსცვლიდნენ. ხონი საშუალო ადგილია, სადაც თითქმის ნახევარ სამეგრელოს, ლეჩხუმსა და სვანეთს ეადვილება ჩამოსვლა. არც არის ფოსტა ხონის იქით ჩრდილოეთისკენ. ამ მხარეების მცხოვრებნი ჩამოდიან ხონის ფოსტაში, რის გამო იგი ნაიდაგ სავსეა ხალხით. აი, ქართულის ცოდნა ამ ხალხისათვის არის საჭირო. ხშირად შედის შორიდან მოსული მეგრელი. ეკითხება მოხელე: „ჩტო ხოჩეშ“-ო. გაშტერებული და განცვიფრებული მეგრელი ხან ერთს მოხელეს შეჰყურებს, ხან მეორეს. „მარკა ხოჩეშ?“? როცა ამ კითხვითაც ვერას აწყობენ, მიჰმართავენ ხოლმე ახლად აღმოჩენილს მუნჯურ მეთოდს, ამოიღებენ ყველა ნაირ ფასების მარკებს და ცალ-ცალკე უწყობენ. როცა ყველა ამაზე განცვიფრებული მეგრელი თავის გაქნევით უარს უბნება, მოხელენი უცდიან ქართულის მცოდნე დეპეშის დამტარებელ ბიჭის მოსვლას (ეს ბიჭი სამი თვე სწავლობდა წერა-კითხვას აქაურ ორ-კლასიან სკოლის მოსამსახურესთან და რუსული, რასაკვირველია, ამისდა შესაფერადაც იცის). მოდის ეს „ნასწავლი“ ბიჭი და ეკითხება მეგრელს, რა გინდაო? მეგრელი მიუგებს: იქნება აქ წერილია ცუდუ წოწონავას სახელზე, ან კიდევ ჩემის მეზობლების ან გვაზი ჟვანიას, ან ჯოდორიას სახელზედაო. როგორც მოგეხსენებათ, ეს სახელები და გვარები რუსულად რომ დაიწერება, ბევრი ასო იცვლება. თარჯიმანი ბიჭი პირ-და პირ უბნება ზემოხსენებულ გვარებს და მოხელეც ვერაფერს იგებს. მაშინ მოხელე ეკითხება თარჯიმანის პირით მეგრელს, სიდან არის გამოგზავნილი წერილებიო. მეგრელი მიუგებს, ჩვენი ბიჭები ჯარის კაცებად არიან ვარშავაში და იქიდან იქნებაო. მოხელე გადაათვალიერებს წერილებს, კითხულობს „Цоцонаво“ და „ნიატუო“, უბნება: „ონ ხოჩიტ წოწონავა, ა ნე ცოცონავაო“. ამ ნაირად წერილის პატრონი ხშირად მიდის ცარიელი. აი, ასეთ ტანჯვაშია ხალხი!

სევერიან ჩ—დი

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 თებერვალი.

პეტერბურგი. 14 თებერვალს ფლიგელ-ადიუტანტ გრაფ ა. დ. შერემეტიევთან გაიმართა წარმოდგენა და ბალი, რომელსაც დაესწრნენ მათი უდიდებულესობანი და უმაღლესობანი.

მარიუპოლი. გაჰქურდეს ეკატერინეს ეკკლესია. მოიპარეს ბარძიმი და ორი ჯვარი და გატეხეს სანთლის ფულის ყუთი.

კარლსრუე. დასაფლავეს გვამი ჰერცოგის ნიკოლოოზ ვიურტემბერგისა. დაესწრო მეფე, პრინცი ჰენრიხი, ვითარცა იმპერატორის წარმომადგენელი, და სხვანი.

ლისაბონი. სამინისტრო გადადგა. მეფემ ახალ სამინისტროს შედგენა მიანდო მინისტრ-პრეზიდენტად ნამყოფს რიბეიროს.

სოფია. საერო კრებაში მინისტრ-პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ჯერ-ჯერობით საჭირო არ არის რეფორმების კრიტიკა; როდესაც საქმე განხორციელდება, მაშინ შეიძლება ლაპარაკი იმის კარგ და ცუდ მხარეებზეო. გაზეთი „ბოლგარია“ ამბობს, რომ რუსეთის მთავრობის განცხადება რეფორმათა შესახებ დამამშვიდებელია იმ აზრით, რომ კონტროლი საქმის განხორციელების თავმდებად მიაჩნია. გაზეთის აზრით, დიდად საყურადღებოა მთავარ ინსპექტორის თანამდებობის დაწესება და ამნისტია. მარტო ამნისტიის გულისათვის ჰღირდა მაკედონიის კომიტეტების გაუქმებაო.

რომი. დეპუტატთა პალატა. ბაჩელლიმ განაცხადა, რომ იტალიას ეხლანდელი დრო მოუხერხებლად მიაჩნია იმ მიწერ-მოწერის

გამოსაცხადებლად, რომელიც მაკედონიის საქმის გამო ჰქონდა; რუსეთმა და ავსტრო-ჰუნგრეთმაც არ გამოაქვეყნეს მიწერ-მოწერა; იტალიას თავის დროზე აცნობეს რუსეთისა და ავსტრო-ჰუნგრეთის შეთანხმების შესახებ და იმანაც თავისი აზრი გამოსთქვაო.

პეკინი. ოფიციალურის ცნობებით, ამბოხება კვანგოში ხუნანის საზღვარს გადასცდა. საიმპერატორო ჯარის 500 კაცი ჩასაფრებულთ ჩაუვარდათ ხელში და ყველან ამოჟლიტეს. ჩიგის მეციხოვნეთა სამხედრო იარაღი მეამბოხეთ ჩაიგდეს.

პარიზი. სერბიის სესხი ერთი სამად დაჰფარეს.

— სამხედრო სამსახურის ორის წლის ვადის კანონ-პროექტი სენატმა პირველისავე წაკითხვის შემდეგ მიიღო 236 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 33-ისა.

— ბიუჯეტის გათანასწორებისათვის ფინანსთა მინისტრს განზრახვა აქვს ათი პროცენტი მიუმატოს ზოგიერთ საქონელზე დაწესებულს ბაჟებს; ამით 17 მილიონზე მეტს შემოსავალს მოელის.

პეტერბურგი. 15 თებერვალს დაჰკრძალეს სრულიად რუსეთის რომის-კათოლიკეთა ეკკლესიების მიტროპოლიტი რუსეთში, ახლად გადაცვალებული არხი-ეპისკოპოსი მოგილევისა ბოლესლავ კლოპოტოვსკი.

16 თებერვალი.

ოდესა. კრებამ დაადგინა: სამხრეთ-რუსეთში უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი დაარსდეს, სადაც მევენახეობისა და მეღვინეობის სწავლება უნდა იქმნეს; დაარსდეს დონის როსტოვსა და უმანში მეღვინეობის სასწავლებელი; გაიმართოს და მერე ერობას გადაეცეს პრაქტიკულად სასწავლო სკოლები მეღვინეობისა და მევენახეობისა; გაიმართოს მოკლე-ვადიანი კურსები მევენახეობისა და საცდელი სადგურები; ოდესის უნივერსიტეტში დაწესდეს მევენახეობისა და მეღვინეობის კათედრა; ფილოქსერასთან საბრძოლველად გაიმართოს სადგური; ერობამ გაჰმართოს საწყობები მეღვინეობასა და მევენახეობაში სახმარებელ იარაღებისა, აგრეთვე საზოგადო სარდაფები გლეხთა ღვინოების დასაძველებლად.

კონსტანტინეპოლი. მონასტირისა, სოლუნისა და უსკიუპის ვალიებს პორტამ აცნობა უმთავრესი მუხლები მიღებულ რეფორმებისა და შეატყობინა, რომ ხილმი-ფაშა სამის წლის განმავლობაში მთავარ-ინსპექტორად დარჩებაო. როგორც ამბობენ, სულთანს უნდა ევროპის ნაწილის ყველა სავილაეტოში შემოიღოს რეფორმები.

— 16 ბატალიონი სათადარიგო ჯარებისა მოიწვიეს იმ ჯარების სანაცვლოდ, რომელიც წარსულ სექტემბერში იყვნენ მოწვეულნი; ამათგან ექვსი დათხოვნილია; სხვა ჯარების მოწვევის შესახებ ხმები სრულებით ტყუილია.

ლისაბონი. ახალი სამინისტრო: რიბეირო—მინისტრ-პრეზიდენტად და შინაგან საქმეთა მინისტრადაა, კამპოსე ჰენრიკესი—იუსტიციისა, პიმენტელ-პინტო—სამხედროისა, გარსაო—საზღვაო, ტაიკსეირა-სუზა—ფინანსებისა, ლიმა—გარეშე საქმეთა და პაკოვეირა—საზოგადო სამუშაო საქმეთა მინისტრად.

ვაშინგტონი. სენატმა მიიღო ზღვათა ბიუჯეტი ცოტას ცვლილებით; სამ საომარ გემის მაგიერ ოთხი უნდა აშენდეს და ერთის მაგიერ—ორი კრეისერი.

პარიზი. პალატამ მიიღო კანონ-პროექტი, რომლითაც განსაზღვრულია პრემიები 1901—1903 წლებში გატანილ შაქარზე. მერე საფინანსო კანონების გარჩევას შეუდგნენ. პლიშონმა მოითხოვა: დაუწმენდავ ნავთის ზეთზე დასანიშნავ გადასახადის შესახები. მუხლი უკანვე დაუბრუნდეს მთავრობას, რომ განსაკუთრებული მოხსენება წარმოუდგინოს პალატას, სანამ საფინანსო კანონების შესახებ სჯა-ბაასი დასრულდებოდესო. ეს უარ-ჰყო პალატამ 276 ხმით წინააღმდეგ 242-ისა. სალი ამტკიცებს, რომ ნავთზე ბაჟის მომატება დაჰღუპავს გამწმენდ ქარხნებს საფრანგეთში და ხელს შეუწყობს ამერიკისასაო; ბაჟების მომატებაზე ლაპარაკი უდროოდ მიმაჩნია, რადგან ამ ჟამად რუსეთი თავისს ტარიფებს ახლად იხილავსო. კლოცი ამტკიცებს, რომ ბაჟებს არავითარი გავლენა არ ექმნება რუსეთთან დამოკიდებულებაში და არც მუშტარი იგრძნობს ამას, იმიტომ რომ, თუ გამწმენდი ქარხნები ფასს აუწევენ, სახელმწიფოს შეუძლიან მონოპოლია დააწესოს ან ბაჟი შეამციროს დაწმენდილ ნავთზე. ბევრი დეპუტატი ბაჟის წინააღმდეგობას აცხადებს. დუმერი მხარს უჭერს რუვიეს და ამბობს: გამწმენდი ქარხნები თუ ფასს აუწევენ, უცხოეთიდან შემოტანილი დაწმენდილი ნავთი საფრანგეთის ბაზრებს მეტის-მეტად გაავსებს და საფრანგეთის ქარხნებიც ფასს დაჰკარგავენ; ამ შემთხვევაში სახელმწიფოსაც შეუძლია მონოპოლია შემოიღოს და იმათაც არა მისცეს რა. ქარხნებში თუ ფასს აუწევენ, სახელმწიფო არ შედრკება საქმეს შეუდგეს (ტაშის ცემაა). პრეზიდენტმა წაიკითხა მუხლი: „დაუწმენდელ ნავთის ყველა ზეთზე, როცა ქარხანაში მიჰზიდავენ, დაწესებულია საფაბრიკო გარდასახადი ას კილოზე 1 ფრანკი და 25 სანტიმი, ან ჰეკტოლიტრზე ერთი ფრანკი“. ეს მუხლი მიიღო პალატამ 319 ის ხმით წინააღმდეგ 202-ისა. კუტანმა წინადადება შემოიტანა: მთავრობამ წარმოადგინოს იმის პროექტი, რომ სახელმწიფოს ნება აქვს ნავთის დაწმენდის მონოპოლია დააწესოს. რუვიე თანხმაა ამისა და 319-ის ხმით წინააღმდეგ 188-ისა პალატამაც მიიღო.

პეტერბურგი. სასახლის მინისტრი დროებით საზღვარ-გარედ წავიდა; სამინისტროს დროებით მმართველობა რიჟევსკის დაავალეს, საუფლისწულო უწყებისა—თავად კოჩუბეის.

17 თებერვალი

ვაშინგტონი. ნიდერლანდიის ელჩმა და ბოუენმა ხელი მოაწერეს ნიდერლანდ-ვენეცუელას ოქმს. თუ უთანხმოება მოხდა, რუზველტი დაინიშნება მედიატორედ.

ულვერსტონი. საშინელ ავდრის დროს ქარიშხალმა მატარებელი გადააბრუნა; 32 კაცი დაშავდა, 4—დაიკარგა; ჰფიქრობენ, რომ ისინი მდინარეში გადავარდნენ.

რომი. გაზეთები აცხადებენ, რომ პაპის საშიშ ავადმყოფობის ამბავი უსაფუძვლო არისო; ის მხოლოდ ცოტათი არის უქეიფოთო.

პორტ-ოფ-სპეინი. თორმეტ საათის ბრძოლის შემდეგ ინსურგენტებმა კარუპანო აიღეს.

კონსტანტინეპოლი. აუდიენციის დროს ზინოვიევმა განაცხადა, ხელმწიფე იმპერატორი კმაყოფილია იმით, რომ ოსმალეთის მთავრობამ შეიწყნარა რეფორმების პროექტიო; შემდეგ ელჩმა იმედი გამოსთქვა, რომ ორ სახელმწიფოს მიერ მოწონებული და შემუშავებული რეფორმები სრულიად იქნება განხორციელებულიო, მით უმეტეს, რომ სერბიასაც და ბულგარიასაც სერიოზული რჩევა მიეცათ მშვიდობიანობის დაცვის შესახებო.

პარიზი. გარდაიცვალა ბრესტის საზღვაო პრეფექტი ვიცე-ადმირალი რუსტანი, რომელიც ლუბეს რუსეთში მოგზაურობის დროს ესკადრას უფროსობდა.

ათინა. ხმა არის, რომ აპრილში მეფე კოპენჰაგენს წავა; ამ გამგზავრებას კავშირი არა აქვს მაკედონიის საქმეებთანაო.

სოფია. საერთო სადამოჟნო ტარიფი საბოლოოდ შესდგა და მიღებულ იქნება საერო კრებისაგან.

მთავრობამ სუბსიდია მისცა ფრანგთა საზოგადოებას „ფრეისინე“-ს; ამის შესახები ხელშეკრულობა საერო კრებას წარედგინება.

ბუდაპეშტი. „ბერლინერ ტაგებლატ“-ი იუწყება, რომ „გრანდ ოტელ“-ში უეცრად ჰკუაზე შეიშალა მოსამსახურე და რევოლვერით მოკვლა მოინდომა სასტუმროში ჩამომხტარის მოგზაურისა—სვენ ხედინისა. მოსამსახურეს იარაღი წაართვეს და გიჟების სახლში გაგზავნეს.

ვაშინგტონი. საფრანგეთისა და ჰოლანდიის ოქმში ვენეცუელას საქმის შესახებ ნათქვამია, რომ საკითხი იმის შესახებ, თუ პრეტენზიების დაკმაყოფილების დროს უპირატესობა ვის უნდა მიენიჭოს, განსახილველად ჰააგის სამედიატორო სასამართლოს უნდა გადაეცესო.

ოდესსა. მეღვინეთა კრება დაიხურა.

კიევი. შაქრის მექარხნეთ აღძრეს საკითხი, ჰარხალის კულტურის გასაუმჯობესებლად განსასუერებული ინსტიტუტი და მასთან საცდელი მინდორი დაარსდესო. ამ საქმის განხორციელება 145 ათასი მანათი დაჯდება, რაც შაქრის მექარხნეთა შორის უნდა მოიკრიბოს; ინსტიტუტის ყოველ-წლიური შენახვა კი მთელის რუსეთის შაქრის მრეწველთა საზოგადოებამ უნდა იკისროს.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

ვისაც ჰსურს ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება, შეუძლიან პირობანი გაისინჯოს გამგეობის მე-4 განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეს გარდა, დილის 9-დან ნაშუადღევის 3 საათამდე. დაბეჭდილი კონვერტები მიიღება 27 თებერვლის ნაშუადღევის 1 საათამდე. ვაჭრობაში მონაწილეთ წინ-და-წინვე უნდა წარმოადგინონ ბე—1500 მანეთი.

(2—2)

გამოვიდა და იყიდება ყველგან
„ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“
მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1) **ქაჯანა**, მოთხრობა ნ. დიუმაურისა, ფასი ერთი შაური. 2) **ალი**, მოთხრობა მისივე ფასი ორი შაური.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც ამ ადრესით: Тифлисъ, Общество распространенія грамотности среди грузинъ.

(2—1)

განცხადებანი

—

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

აცხადებს, რომ 27 თებერვალს გამგეობის თანადასწრებით მოხდება ხელ-მეორე **საჯარო ვაჭრობა**, რომელზედაც იჯარით გაიცემა მნაცაკანის ხიდზე გადასახადის მოკრეფა.

მიიღება ხელის მოწერა **1903** წლისათვის

ყოველ დღიურ გაზეთ

„ცნობის ფურცელ“-ზე

სურათებიანის დამატებით კვირაში ორჯელ

(წელიწადი მერვე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიასა და რუსეთში: 1 წლით—6 მანეთი.

საზღვარ-გარედ: 1 წლით—9 მ.

წლიურ ფასის განაწილება: ხელის-მოწერისათანავე 4 მან., დანარჩენიც 1-ლ მარტამდე.

ყოველ თვიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალ

„მოამბე“-ზე

(წელიწადი მეათე)

ფასი ჟურნალისა

კავკასიასა და რუსეთში: 1 წლით—10 მ., 6 თვით—6 მ. 3 თვით—3 მ.

საზღვარ-გარედ: 1 წლით—13 მ., 6 თვით—7 მ., 3 თვით—5 მ.

ვინც „**მოამბეს**“ მთელის წლით გამოიწერს, **სურათებიანი დამატებანი** და „**ცნობის ფურცელი**“ უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მან., რომელიც ხელის-მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი.

წლიურ ფასის განაწილება: პირველად—6 მ. ქალაქ-გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მ., 1-ლ აგვისტომდე დანარჩენი.

როგორც „ცნობის ფურცლის“, ისე „მოამბის“ ხელის-მომწერთ პრემიად გაეგზავნებათ

შოთა რუსთაველის

ახალი სურათი,

წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის საფოტოტიპიოში დამზადებული. სურათი ზომით 9×12 ვერშოკი იქმნება. ქალაქ გარედ ხელის მომწერთ 30 კაპეიკი უნდა წარმოუდგინონ რედაქციას სურათის გასაგზავნად. ეს სურათი ცალკე 1 მან. 50 კაპ. ღირება.

ამა 1903 წელს „**მოამბე**“-ში, სხვათა შორის, დაიბეჭდება რუსთა შესანიშნავ მწერლის ლ. ნ. ტოლსტოის რომანის „ვოინა ი მირ“-ის თარგმანი, „რომის ისტორია“ და სხვა.

რედაქცია და **კანტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე. **ტელეფონი** № 372.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ и „Цнобисъ-Пурцели“.

განცხადება

ვაჭრობა ფართლეულობის საქონლით დაბა ყვირილაში რაფიელ ვვლესიანისა.

პატივი მაქვს ვაცნობო შორაპნის მაზრის საზოგადოებას, რომ მაღაზია, რომელიც ყვირილის სადგურის პირ-და-პირ მქონდა, გადავიტანე ზედა ხიდის გვერდზედ.

მაღაზიაში იშოვება ყოველ გვარი ახლად მიღებული კარგი საქონელი. იმედი მაქვს, საზოგადოება უყურადღებოდ არ დასტოვებს ოცდა ათის წლის გაცნობილს მაღაზიას. საქონელი იყიდება დაკლებულ ფასად.

შორაპნის მაზრის საზოგადოების პატივის მცემელი **რაფიელ ვვლესიანი.** (20—11)

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1903 ГОДЪ

НА

ОБЩЕДОСТУПНЫЙ, ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ,

НАУЧНО-ПРАКТИЧЕСКІЙ ЖУРНАЛЪ

(2-ой годъ изданія)

„Листокъ Виноградарства, Винодѣлія и Плодоводства“,

ЖУРНАЛЪ будетъ выходить 1 и 15 числа каждаго мѣсяца книжками въ 2 печатныхъ листа по значительно-расширенной программѣ, посвященной вопросамъ культуры, технологіи и хозяйственной экономіи винограднаго и плодоваго хозяйствъ.

Съ этой цѣлью помимо постояннаго сотрудничества иностранныхъ и русскихъ ученыхъ спеціальстовъ, редакціей приглашены къ участію въ журналѣ и мѣстныя силы въ лицѣ выдающихся хозяевъ и многочисленныхъ корреспондентовъ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА: На годъ 2 р., съ пересылк. и дост.—2 р. 50 к. На полъ года—1 р. 25 к., съ пересылк. и дост.—1 р. 50 к.

ЗА ПЕРЕМѢНУ АДРЕСА уплачивается 14 копѣекъ почтовыми марками.

За напечатаніе объявленій взимается за страницу—8 руб., за 1/2 страницы—4 руб., за 1/4 страницы—2 руб. Мелкія объявленія печатаются по соотвѣтствующему этимъ цѣнамъ разсчету. ЗА ПЕРЕСЫЛКУ ОТДѢЛЬНЫХЪ ОБЪЯВЛЕНІЙ при журналѣ плата взимается по соглашенію съ объявителемъ.

Рукописи, присылаемыя въ редакцію должны быть четко переписаны на одной сторонѣ листа и снабжены подписью и адресомъ автора. Принятыя статьи въ случаѣ надобности сокращаются и исправляются,—непринятыя сохраняются въ редакціи въ теченіи 3-хъ мѣсяцевъ и либо возвращаются авторамъ за ихъ счетъ, либо уничтожаются по минованіи срока храненія.

Адресъ редакціи: г. Кишиневъ, Болгарская, № 7

(ზ. 3—2) Редакторъ **Н. Могилянскій.**

Дозв. ценз. Тифлисъ, 17 Февраля, 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)